აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 4

10 ნოემბერი 2009 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, თამარ ხოზრევანიძე, ასლან ჩავლეიშვილი.

სხდომას არ ესწრებოდა: კომისიის წევრები გია გარსევანიშვილი და თამაზ შარმანაშვილი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარადგინა დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 4;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. დადგენილება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

(მომხს. ა. მიქელაძე)

2. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში არსებული შენახვის ვადაგასული ზოგიერთი დოკუმენტაციის განადგურების შესახებ.

(მომხს. ა. მიქელაძე)

1. დადგენილება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კომისიას წარუდგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ უსკო-ს მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის დებულებაში ცვლილების განხორციელება ძირითადად განპირობებული იყო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში 2008 წლის 30 ივლისს განხორციელებული ცვლილებებით, რის შემდეგაც კომისიას დეტალურად გააცნო ცვლილებები რაც წარმოდგენილი იყო დადგენილების პროექტში.

.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 4;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი)

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №7 დადგენილებით დამტკიცებულ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მუდმივმოქმედ საექსპერტო-კომისიის დებულებაში შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1.დებულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის დებულება“

2. დებულების 1.3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საექსპერტო კომისიის შემადგენლობა მტკიცდება უსკო-ს თავმჯდომარის ბრძანებით, მასში შეყვანილი უნდა იყვნენ ყველაზე კვალიფიციური სპეციალისტები უსკო-ს ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირის თავმჯდომარეობით. კომისიის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა იყოს საქმისწარმოების სამსახურის მუშაკი და დაწესებულების არქივის გამგე (ან თავმჯდომარის ბრძანებით მინიჭებული არქივზე პასუხისმგებელი პირი), ხოლო იქ, სადაც ეს საჭიროა, შესაბამისი საარქივო დაწესებულების წარმომადგენელი. საექსპერტო კომისიის მდივნად როგორც წესი, ინიშნება საქმისწარმოების მუშაკი ან დაწესებულების არქივის გამგე (ან თავმჯდომარის ბრძანებით მინიჭებული არქივზე პასუხისმგებელი პირი).

3. დებულების 1.4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.4. თავის საქმიანობაში საექსპერტო კომისია ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“, დარგობრივ (საუწყებო) სისტემაში მოქმედი ბრძანებებით და მითითებებით, საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს ნორმატიულ-მეთოდიკური დოკუმენტებით, ამ დებულებით.“

4. დებულების 3.4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.4. თავის სხდომაზე მოისმინოს საქმისწარმოების ხელმძღვანელის, სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელობისაგან და დაწესებულების არქივის ინფორმაციები დოკუმენტების გაფორმებისა და საქმეთა ფორმირების ხარისხის, მუდმივად და ხანგრძლივად შესანახ საქმეთა აღრიცხვისა და დაცვის შესახებ;“

მუხლი 2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. **განკარგულება**
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში არსებული შენახვის ვადაგასული ზოგიერთი დოკუმენტაციის განადგურების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კომისიას წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში არსებული შენახვის ვადაგასული ზოგიერთი დოკუმენტაციის განადგურების შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ როგორც კომისიისათვის ცნობილია 2009 წლის 09 ნოემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს წარმომადგენელის ელგუჯა ჩაგანავას მიერ შესწავლილი იქნა და ექსპერტიზა ჩაუტარდა 2004 წლის აჭარის ა. რ. უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო დოკუმენტაციას და ნუსხის თანახმად, გასანადგურებლად შეირჩა 2004 წლის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო დოკუმენტაცია რომლებმაც დაკარგეს ისტორიული და პრაქტიკული ღირებულება და ექვემდებარება განადგურებას. ასევე აღნიშნა, რომ აღნიშნულზე მიღებული იქნა აქტი რომელიც განხილული და მოწონებული (დამტკიცებული) იქნა უსკო-ს მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის მიერ 2009 წლის 10 ნოემბრის უსკო-ს მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის სხდომაზე. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 4;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის, მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 13 ივლისის №3 განკარგულების, „დაწესებულების საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტის (მათი შენახვის ვადების მითითებით) ნუსხის“ ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ეროვნული არქივის გენერალური დირექტორის 2009 წლის 5 მაისის №23 ბრძანების, მოქმედი ტიპიური ნუსხის და უმაღლესი საარჩევნო კომისიის მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის საოქმო გადაწყვეტილების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. განადგურებული იქნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში არსებული 2004 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ვადაგასული საარჩევნო დოკუმენტაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 13 ივლისის №3 განკარგულებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საქმეთა ნომენკლატურის, „დაწესებულების საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტის (მათი შენახვის ვადების მითითებით) ნუსხის“ ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ, მოქმედი ტიპიური ნუსხის, და უმაღლესი საარჩევნო კომისიის მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის საოქმო გადაწყვეტილების (აქტის განადგურების შესახებ თან ერთვის) შესაბამისად.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში

3. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე

სხდომაზე სხვა საკითხები არ განხილულა

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია